საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/19 " 9 " მარტი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმდინარე წლის 26 თებერვლის №06-1810 წერილით მომართა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა, სადაც აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერმა საერთო სასამართლოების დეპარტამენტისაგან მოითხოვა სასამართლოს ეზოში სწრაფი კვების ობიექტის განთავსების მიზნით 30 კვ.მ. მიწის ფართობის (ფართი მდებარეობს ლ. ანდრონიკაშვილის ქუჩის მხრიდან არსებული მოქალაქეთა შემოსასვლელის მარჯვენა მხარეს) იჯარის ფორმით გაცემა. მოთხოვნა ეფუძნება ვიზიტორთა მზარდი რაოდენობის გამო სასამართლოს შიდა პერიმეტრის გადატვირთულობის პრობლემას, რაც განსაკუთრებით ვლინდება მოქალაქეებისა და დასაქმებულთა მიერ შენობაში განთავსებული სასადილო ოთახით სარგებლობისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 ოქტომბრის №326 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემისას საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ დებულების" პირველი მუხლის მე-7 პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის" პირველი მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს მის სარგებლობაში არსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის ზემოაღნიშნული ფართის სარგებლობაში გადაცემა 2024 წლის 1 მაისამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი